NNLP
AGENCY OF
MUNICIPAL
SERVICES
Digitally signed by NNLP AGENCY OF MUNICIPAL SERVICES
Date: 2019.01.24 17:51:48 +04'00'

№ 37 . 16.01.2019

ხელშეკრულება N01
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. ბათუმი 04 იანვარი,2019 წ.

ერთის მხრივ, ა(ა) იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“ (შემდგომში ,,შემსყიდველი”), დირექტორი ჯუმბერ კობალაძის სახით და მეორეს მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველო (შემდგომში ,,მიმწოდებელი”), სამმართველოს უფროსის კარლო ურუშაძის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 22 დეკემბრის N3533 განკარგულებისა (**SMP180003120**) და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის N266 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულების“ შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ,,მიმწოდებელი” თანახმაა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს ა(ა) იპ "მუნიციპალური სერვისების საგენტოს" საწყობის (აეროპორტის გზატკეცილი N257) და არსებული შენობებისა და ობიექტების დაცვის (შემდგომში ,,ობიექტებად” წოდებული) საპოლიციო ძალების მეშვეობით დაცვა, (CPV79700000 - გამოძიებასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურებები; CPV79713000 – დაცვის მომსახურება) ხოლო ,,შემსყიდველი” კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

1.2 დაცვის მომსახურების სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 86400,00 (ოთხმოცდაექსიათასოთხასი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

1.3 შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასი, მთლიანი თანხა განისაზღვრება დანართის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. ,,შემსყიდველის“ უფლება-მოვალეობები:

2.1.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.

2.1.2 ,,მიმწოდებელს“ შეუქმნას დაცვისათვის ნორმალური საყოფაცხოვრებო-შრომითი პირობები.

2.1.3 განახორციელოს ,,ობიექტის“ პირველადი და შემდგომი გამოკვლევის აქტების მოთხოვნათა შესრულება და ,,მიმწოდებელთან” ერთად იზრუნოს ,,ობიექტის” დაცვის სრულყოფისათვის.

2.1.4 ,,ობიექტის” მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში არ შევიდეს მასში ,,მიმწოდებლის” თანამშრომლების გარეშე და არ დაიწყოს მატერიალურ ფასეულობათა აღწერა.

2.1.5 ,,მიმწოდებელს” წინასწარ აცნობოს და მასთან შეთანხმებით გადაწყვიტოს ,,ობიექტზე” მოსალოდნელი ყველა ის ცვლილებები, რომელიც შეეხება დაცვით მომსახურებასა და უსაფრთხოებას: (,,ობიექტის” დაცვითი სიგნალიზაციით აღჭურვა, მუშაობის რეჟიმის ცვლილება და ა.შ.)

2.1.6 დაცვის თნამშრომლების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობით აცნობოს ,,მიმწოდებელს”.

2.1.7 ,,შემსყიდველს” ეკრძალება დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშე დააავალოს დაცვის თანამშრომლებს იმ ობიექტების დაცვა, რომლებიც არ არის განსაზღვრული მოკვლევის აქტით.

„შემსყიდველი“ „მიმწოდებელი“

---------- ----------

(ხელმოწერა) (ხელმოწერა)

2.1.10 რეკვიზიტების (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონები) შეცვლის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს ,,დაცვას".

2.1.11 შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

2.1.12 შემსყიდველს უფლება აქვს ვადაზე ადრე ცალმხრივად მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რომელიმე ობიექტზე აღარ იქნება აუცილებელი მიმწოდებლის მიერ მომსახურების განხორციელების აუცილებლობა. შემსყიდველი აღნიშნულის თაობაზე გონივრულ ვადაში აცნობებს მიმწოდებელს.

2.2. **„მიმწოდებელის" უფლება-მოვალეობები:**

2.2.1. არ გაამჟღავნოს ,,შემსყიდველის" სამსახურეობრივი საიდუმლოება.

2.2.2 უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების დანართში მითითებულ ობიექტებში საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალური ფასეულობების დაცვა, გამოკვლევის აქტებისა და პოლიციის განაწილებული საგუშაგოების მიხედვით.

2.2.3 მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა და „პოლიციის შესახებ" კანონის მოთხოვნათა შესაბამისად კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები.

2.2.5. ,,მიმწოდებელი" ზარალისათვის პასუხისმგებლობას კისრულობს ,,მიმწოდებლის" მიერ დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

2.2.6. ზარალის ოდენობის განსაზღვრა მოხდება, მხარეთა მონაწილეობით შედგენილი შედარების აქტით, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ,,შემსყიდველის" საბუღალტრო დოკუმენტაციას.

2.2.7 ,,შემსყიდველისათვის" ფაქტიური ზარალის ანაზღაურებას ,,მიმწოდებელი" მოახდენს ერთობლივი კომისიის დასკვნის ან სასამართლოს, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე.

2.2.8. მიმწოდებელი ფინანსურ პასუხისმგებლობას იღებს იმ მატერიალურ ფასეულობებზე, რომელთა გატანა დაცული ტერიტორიის გარეთ შეუძლებელია დაფარულად (მონიტორი, ავეჯი, ჭაღი, კონდიციონერი, საშუალო და დიდი ზომის სანტექნიკური მოწყობილობები და სხვა).

2.3. ,,მიმწოდებელი" პასუხისმგებლობას არ კისრულობს თუ:

2.3.1. ,,შემსყიდველმა" არ შეასრულა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, პირველადი და შემდგომი გამოკვლევის აქტების მოთხოვნები.

2.3.2. თანამშრომელთა პირად საკუთრებაზე, რომელიც დასაცავ ,,ობიექტში" დატოვებული იყო ,,მიმწოდებელზე" ჩაბარების გარეშე.

2.3.3 მატერიალურ ფასეულობების ქურდობისათვის, თუ ქურდობა ჩადენილია ,,შემსყიდველის" მიერ ,,მიმწოდებლისათვის" ,,ობიექტის" დაცვაზე ამ ხელშეკრულების შესრულებამდე ჩაუბარებლობის მიზეზით.

მუხლი 3.ანგარიშსწორება

3.1 ,,მიმწოდებლის" ხარჯებს ,,შემსყიდველი" იხდის ობიექტის დაცვაზე გაწეული მომსახურების მიხედვით (ობიექტის დაცვის სახეობიდან გამომდინარე დაცვის მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულების დანართის მიხედვით.

3.2. ანგარიშსწორება ,,მიმწოდებელთან" ხორციელდება საანგარიშო თვის ბოლოს, მხარეთა მიერ მომსახურების ან მისი ნაწილის შესრულების თაობაზე შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის ჩაბარებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში (ლარებში), კერძოდ შემდეგ ანგარიშზე: მიმღები ბანკი სახელმწიფო ხაზინა, მიმღების დასახელება ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 707117043.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

მუხლი 4. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

4.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ წერილობითი შესწორებების გარდა.

4.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შემტანი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

4.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 5. უფლებების გადაცემა

5.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარ წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

მუხლი 6. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

6.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ასეთ შემთხვევაზე 50.00 ლარის ოდენობით;

6.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირ-გასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

6.4. შემსყიდველი უფლებამოსილია წინამდებარე პუნქტით გათვალისწნებული პირგა-სამტეხლო გაუქვითოს მიმწოდებელს სახელშეკრულებო ფასიდან.

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წაწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწვეტილება, მიღებულ აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

მუხლი 8. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი შეუსრულებლობის გამო

8.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გაუწიოს სრული მომსახურება ან მისი ნაწილობრივ;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

8.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შეთხვევაში.

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ ,,მიმწოდებელის" მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

9.1. ხელშეკრულების შესრულების შემსყიდველის მხიდან კონტროლს, შესრულებული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება–ჩაბარების მიზნით მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებას და ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციული შენობებისა და ობიექტების ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს ა(ა) იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს" საწყობის უფროსი ილია სირაბიძე. შემსყიდევლს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ნებისმიერ დროს ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებლებრივი აქტით მიანიჭოს ქ. ბათუმის მერიის სხვა თანამშრომელს ან/და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ნებისმიერ სხვა პირს. შემსყიდველის ასეთი გადაწყვეტილება არ საჭიროებს მიმწოდებლის არც წინასწარ და არც შემდგომ თანხმობას და იგი ძალაში შედის შესაბამის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი წესით;

9.2. ხელშეკრულების შესრულების შემსყიდველის მხიდან კონტროლის, შესრულებული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება–ჩაბარების მიზნით მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილების 3.1. პუნქტის შესაბამისად შესაბამის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირზე მინიჭების შემდეგ ასეთი უფლებამოსილების მინიჭებამდე შესრულებული მომსახურების კონტროლისა და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების შედეგები და გაფორმებული მიღება–ჩაბარების აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

9.3. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

9.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

9.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალიწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, კარანტინით საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30(ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

მუხლი 12. შეტყობინება

12.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

12.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 13. მომსახურეობისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. მომსახურების განხორციელება დაიწყოს 2019 წლის 01 იანვრიდან ხოლო მომსახურეობის ვადა განისაზღვროს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდით.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით პერიოდი;

მუხლი 14. გადასახადები და ბაჟები

14.1. ,,მიმწოდებელი" პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

მუხლი 15. სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი რჩება ,,შემსყიდველს", ხოლო მეორე ეგზემპლარი ,,მიმწოდებელს".

მუხლი 16. ხელშეკრულბის სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისას, ,,შემსყიდველი" ათი დღით ადრე აცნობებს ,,დაცვას" გადაწყვეტილების შესახებ, წერილობითი ფორმით;

16.2 ,,შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ერთი თვის სახელშეკრულებო თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია ცალმხივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

16.3 სადაო საკითხებს მხარეები წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოს მეშვეობით;

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

16.4 წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილს;

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ა(ა) იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტო“ მის.: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25 ფაქტ მის.: ქ. ბათუმი, წერეთლის ქ. №2 ს/კ 445531130 ბანკის დასახელება-სახელმწიფო ხაზინა: ბ/კ TRESGE22 ანგ. №GE24NB0330100200165022 ა(ა) იპ „მუნიციპალური სერვისების სააგენტოს“ დირექტორი: ჯუმბერ კობალაძე	საქართველოს შსს სსიპ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის აჭარის დაცვის პოლიციის სამმართველო; ს.კ. 211350928; მის.: ქ. ბათუმი, ტბ. აბუსერიძის ქ. #11; მიმღები ბანკი სახელმწიფო ხაზინა, მიმღების დასახელება ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: 707117043. სამმართველოს უფროსი კარლო ურუშაძე

LEPL SECURITY POLICE DEPARTMENT

Digitally signed by LEPL SECURITY POLICE DEPARTMENT
Date: 2019.01.16 14:31:09 +04'00'

„შემსყიდველი“

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

(ხელმოწერა)

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2019 წლის 03 იანვრის N86 ხელშეკრულების დანართი:

აეროპორტის გზატკეცილი 257

პერიოდი 03.01.2019 წ. - 31.12.2019 წ.

№	მომსახურების დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თვეების რაოდენობა	თანხა	დაცვის საათები	გამოსასვლელი დღეები
1	ინსპექტორი	1	900	12	10800	24	არა
2	უმცროსი ინსპექტორი	9	700	12	75600	24	არა
		სულ:			**86400**		

„შემსყიდველი“

(ხელმოწერა)

„მიმწოდებელი“

(ხელმოწერა)